ხაშურის მოამბე

№16 28 სექტემბერი, ორშაბათი, 2015 წელი

სურამში, „რკინის წყლის“ კეთილმოწყობის სამუშაოები უახლოეს დღეებში დასრულდება

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა, მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, სურამში, „რკინის წყლისა“ და მისი მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები მოინახულა.

სამუშაოები მოიცავს „რკინის წყლის“ სათავე ნაგებობის რეაბილიტაციას, ასევე „რკინის წყლის“ მიმდებარე ტერიტორიის სახურავისა და უკანა კედლის შეკეთებას, კედლის დეკორატიულ მოპირკეთებას. დაგეგმილია ახალი განათების დამონტაჟებაც.

სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

რკინის წყალი სურამის ბუნებრივი სიმდიდრე და სურამელთა და დამსვენებლების თავშეყრის ადგილია.

მსგავსი მასშტაბის სამუშაოები „რკინის წყალზე“, ოც წელზე მეტია, არ ჩატარებულა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, იგივე პროექტის ფარგლებში, განახლდება ფოტოგამოფენაც, რომელიც ამ ტერიტორიას ამშვენებდა.

სურამის ხედებისა და ღირსშესანიშნაობების ძველმა ფოტოებმა, რომელიც იქ იყო, წლების სიმძიმის გამო, ხარისხი დაკარგა და მისასალმებელია, რომ იგი ახლით შეიცვლება.

ცოფთან ბრძოლის საერთაშორისო კვირეული

მთელი მსოფლიოს მასშტაბით 21-28 სექტემბერი ცოფთან ბრძოლის საერთაშორისო კვირეულადაა გამოცხადებული. ამ აქციაში საქართველოცაა ჩართული. ბუნებრივია, აქციას ჩვენი მუნიციპალიტეტიც შეუერთდა. როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს სპეციალისტმა შმაგი ზაზიკაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, 8 ადგილობრივი ვეტერინარი მთელი ქალაქის მასშტაბით აცრებს უტარებენ შინაურ ძაღლებსა და კატებს. უკვე აცრილია ასეულობით ცხოველი. მაღალეფექტური პრეპარატი „ბიოკან-R“ შემოტანილია ჩეხეთიდან. აქცია დღეს დამთავრდება. მოქალაქეებმა, რომელთა შინაური ცხოველები, რაღაც მიზეზების გამო გამორჩენ აცრას, შეუძლიათ დღესვე მიმართონ სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის სამმართველოს ხაშურის ოფისს.

ბატონმა შმაგიმ აქვე დასძინა, რომ იწყება ჯილეხისა და თურქულის საწინააღმდეგო აცრებიც. უკვე რამდენიმე წელია მსგავსი აცრები პერმანენტულად მიმდინარეობს და, შეიძლება ითქვას, რომ შედეგი საუკეთესოა – ბოლო წლების განმავლობაში თურქულისა და ჯილეხის დაავადება საერთოდ არ დაფიქსირებულა.

მსოფლიოს მასშტაბით უკვე არიან ქვეყნები, სადაც აბსოლუტურად აღმოიფხვრა ეს დაავადებები და ჩვენი ქვეყანაც უახლოეს წლებში ალბათ მივა ამ შედეგებამდე. ამის წინაპირობა კი უკვე ჩანს. პროგრამა მთლიანად სახელმწიფოს მიერაა დაფინანსებული და აცრები როგორც ცოფის, ასევე თურქულისა და ჯილეხის წინააღმდეგ უფასოა.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე

ამ დღეებში მესტიაში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „კავკასიური ცივილიზაცია: ინტერდისციპლინარული კვლევები“, რომელიც ჩატარდა თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის, კავკასიოლოგიური კვლევების ინსტიტუტის და ფილადელფიის უნივერსიტეტის პატრონაჟით. ღონისძიების ფინანსური და ორგანიზაციული ტვირთი იკისრა მესტიის მუნიციპალიტეტმა. კონფერენციაში მონაწილეობდნენ რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენლები, მათ შორის, მეცნიერები ჩრდილო კავკასიის ყველა რესპუბლიკიდან.

კონფერენციის კულმინაცია იყო ფილადელფიის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორის მ. შერის სამეცნიერო მოხსენება, რომელიც მან წარმოადგინა ხუთ ქართველ თანაავტორთან ერთად. მათ ჩაატარეს ჩრდილო და სამხრეთ კავკასიელი ხალხების სისხლის გენეტიკური ანალიზი ფილადელფიის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში და დაამტკიცეს, რომ ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის ხალხებს გააჩნიათ საერთო გენეტიკური წარმომავლობა, ახლო ნათესაობა, მათ შორის, ენობრივი კუთხითაც.

საერთაშორისო კონფერენციაზე პერსონალურად მიწვეული იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, პოლიტიკის მეცნირებათა დოქტორი, პროფესორი **ვაჟა შუბითიძე**, რომელმაც გააკეთა მოხსენება თემაზე „როგორ უნდა აიცილოს ერმა გლობალიზაციის პირობებში ასიმილაციის საფრთხე“. მოხსენებამ დამსწრეთა დიდი ინტერესი და გამოხმაურება გამოიწვია.

საინფორმაციო შეხვედრა მეფუტკრეებთან

ხაშურის მუნიციპალიტეტში სსიპ "სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს" წარმომადგენლებმა გამართეს საინფორმაციო შეხვედრა მეფუტკრეებთან.

შეხვედრის მიზანი იყო დაინტერესებული პირებისთვის მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამის გაცნობა.

მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის

პროგრამა დაიწყო 2015 წლის სექტემბრიდან და აღნიშნულ პროგრამას საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო სსიპ "სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს" მეშვეობით ახორციელებს. პროგრამის ფარგლებში სააგენტოს მიერ განხორციელდება ჩარჩოიანი ხის სკების სახელმწიფო შესყიდვა. აღნიშნული სკები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს გადაეცემათ შეღავათიან ფასად-სკების ღირებულების 30%-ის ოდენობით.

მონაწილეებს გადაეცემათ მათ ბალანსზე არსებული სკების იდენტური რაოდენობა, მაგრამ არაუმეტეს 100 ცალი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საკრებულოს თავმჯდომარის

ბრძანება №85

2015 წლის 14 სექტემბერი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრებისა და ანგარიშების წარდგენის გრაფიკის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის,ამავე კანონის 88-ე და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 22 დადგენილების 131-ე მუხლების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრებისა და ანგარიშების წარდგენის გრაფიკი დანართი 1-ის შესაბამისად.

2. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა (აპარატის უფროსის მ/შ მ.ქათამაძე) უზრუნველყოს საკრებულოს წევრთა ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების ორგანიზებულად ჩატარება და მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ კანონითა და რეგლამენტით გათვალისწინებული ანგარიშების გამოქვეყნება.

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშურში, კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე

დანართი N1

N	სახელი, გვარი	თანამდებობა	ანგარიშის წარდგენის ადგილი	რიცხვი, საათი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
1	ვაჟა შუბითიძე	საკრებ. თავმ-რე	საკრ. სხდ. დარბაზი	28.10. 14-00	
2	ომარ კაპანაძე	კომისიის თავმ-რე	საკრ. სხდ. დარბაზი	22.10. 13-00	
3	ირინე გელაშვილი	კომისიის თავმ-რე	სურამის ადმ. ერთეულის შენობა	28.10. 11-00	
4	მამუკა წიქარიშვილი	კომისიის თავმ-რე	ხაშურის ადმ. ერთეულის შენობა	22.10 10-00	
5	ვაჟა ხარშილაძე	კომისიის თავმ-რე	ცოცხნარის ადმ. ერთეულის შენობა	19.10. 14-00	
6	ნიკოლოზ კიკნაძე	კომისიის თავმ-რე	საკრ. სხდ. დარბაზი	30.09. 13-00	
7	ზურა ნოზაძე	ფრაქც. თავმ-რე	ალის ადმ. ერთეულის შენობა	24.09. 12-00	
8	არჩილ ჩაჩანიძე	ფრაქც. თავმ-რე	ქვიშხეთის ადმ. ერთეულის შენობა	08.10. 12-00	
9	ზაალ ფცქიალაძე	ფრაქც. თავმ-რე	საკრ. სხდ. დარბაზი	06.10. 15-00	
10	ნოვე ტაბატაძე	ფრაქც. თავმ-რე	ხალების ადმ. ერთეულის შენობა	23.09. 12-00	
11	როინ მახარობლიძე	ფრაქც. თავმ-რე	საკრ. სხდ. დარბაზი	29.10. 11-00	
12	ზაურ ხაჩიძე	ფრაქც. თავმ-რე	საკრ. სხდ. დარბაზი	21.10. 13-00	
13	პავლე ლაცაბიძე	ფრაქც. თავმ-რე	ცხრამუხის სარიტუალო დარბაზი	07.10. 17-00	
14	დავით გელაშვილი	საკრებულოს წევრ	საკრ. სხდ. დარბაზი	19.10. 10-00	
15	ჯურხა მახარაშვილი	საკრებულოს წევრ	ოსიაურის ადმ. ერთეულის შენობა	01.10. 18-00	
16	ემზარი მურჯიკნელი	საკრებულოს წევრ	წრომის ადმ. ერთეულის შენობა	24.09. 10-00	
17	ილია კაპანაძე	საკრებულოს წევრ	ფლევის ადმ. ერთეულის შენობა	12.10. 12-00	
18	მალხაზი ლომიძე	საკრებულოს წევრ	წაღვლის ადმ. ერთეულის შენობა	28.09. 12-00	
19	გენადი გელაშვილი	საკრებულოს წევრ	გომის ადმ. ერთეულის შენობა	29.09. 13-00	
20	გიორგი ცხადიაშვილი	საკრებულოს წევრ	საკრ. სხდ. დარბაზი	06.10. 14-00	
21	მიხეილ ჯანაშვილი	საკრებულოს წევრ	საკრ. სხდ. დარბაზი	27.10. 13-00	
22	მანანა კაპანაძე	საკრებულოს წევრ	საკრ. სხდ. დარბაზი	30.09. 14-00	
23	როსტომ გრიგალაშვილ	საკრებულოს წევრ	საკრ. სხდ. დარბაზი	29.10. 13-00	
24	ლევან ბურჯანაძე	საკრებულოს წევრ	საკრ. სხდ. დარბაზი	29.10. 12-00	
25	გიზო ტალახაძე	საკრებულოს წევრ	საკრ. სხდ. დარბაზი	30.10 12-00	
26	ირინე გრიგალაშვილი	საკრებულოს წევრ	საკრ. სხდ. დარბაზი	30.10 13-00	
27	ლაშა მესხი	საკრებულოს წევრ	საკრ. სხდ. დარბაზი	26.10. 13-00	
28	მიხეილ ჯიბუტი	საკრებულოს წევრ	საკრ. სხდ. დარბაზი	21.10. 12-00	

„შედავათიანი აგროკრედიტის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად, შედავათიანი აგროკრედიტით ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. გომში შპს „ანსა“მ (ხელმძღვანელი ვასილ დვალი) ააშენა და ასევე, არსებული შენობების რეკონსტრუქციით მოაწყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახი მაცივარი 250 ტონაზე, ბოსტნეულის და კარტოფილის შესანახი საწყობი 550 ტონის ტევადობის, მარცვლეულის შესანახი 300 ტონაზე და მარცვლეულის საშრობი 600 ტონაზე.

შპს „ანსა“ ფლობს 120 ჰექტარზე მეტ ფართობს და მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვით მიმდინარე წელს ასობით ტონა ბოსტნეულის,კარტოფილის,ხორბლის,ქერის მოსავალი მიიღო და დააბინავა. ამჟამად მიმდინარეობს ხახვის და კარტოფილის ამოღების სამუშაოები, რომლის დამთავრების შემდგომ სიმინდის მოსავლის აღებას დაიწყებენ.

გაცრეცილი ფოტოები

ვაგრძელებთ რუბრიკას „გაცრეცილი ფოტოები“ და დღეს გთავაზობთ წინა საუკუნის 80-იან წლებში გადაღებულ ფოტო-სურათს. ამ ფოტოს აქვს წარწერა; „1984 წელი, სოფელ ბეღლითში, საკარმიდამო ნაკვეთში ვენერა გელაშვილმა მოიწია გოგრა, რომელიც 20 კილოგრამამდე იწონის“. ეს ჩვენი რაიონისთვის მართლაც რეკორდული მაჩვენებელია. ეს პატარა, მართლაც გოგრასავით ჩამურკული ბიჭები დღეს ალბათ უკვე ცოლშვილიანები არიან და თვითონაც ასეთი ჯანმრთელი და ეშხიანი ბიჭები ჰყავთ..

ოცნებას კაცი არ მოუკლავს (წერილი მეორე)

გაზეთის მკითხველის გააქტიურებას, მის დაინტერესებას გაზეთში გამოქვეყნებული წერილებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რედაქციისათვის, მისი მომავალი მუშაობის დაგეგმვისათვის. ამ დასკვნამდე მიგვიყვანა სატელეფონო ზარებმა, რომლებიც რ. მარგველაშვილის წერილს „ოცნებას კაცი არ მოუკლავს" მოჰყვა. აი, ერთი მათგანი:

–ბატონო რედაქტორო, დიდი გულისყურითა და ინტერესით გავეცანით თქვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებულ რ. მარგველაშვილის წერილს „ოცნებას კაცი არ მოუკლავს", რომელმაც მართლა ოცნებები ამიშალა და სურვილების მორევში გადამიშვა. საქმე იმაშია, რომ ამ წერილში დაყენებული რამდენიმე საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია, დღევანდელი და ხვალინდელი ხაშურელისთვის. ვგულისხმობ იმ ------- აღდგენა------- პერსპექტივასა და საჭიროებას, რომელიც წლების წინ მართლა არსებობდა ჩვენს ქალაქში რეგიონში ცნობილი პედტექნიკუმი, რომლის კურსდამთავრებული მეც ვარ და საშუალო სამედიცინო სასწავლებელი, რომელიც კვალიფიციურ და პატრიოტ კადრებს უზრდიდა სამშობლოს. სხვათაშორის, მინდა, მომავალმა თაობამ იცოდეს, რომ სწორედ ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულ ქალთა ერთი კურსი მთლიანად წავიდა მოხალისედ დიდ სამამულო ომში. ერთობლივად ვიფიქროთ ამ სასწავლებლის აღდგენის პერსპექტივაზე, და საჭიროების შემთხვევაში ზემდგომ ორგანოებში დროულად დავაყენოთ ხაშურში მათი აღდგენა-დაარსების საკითხი. თუ ოცნებაა ოცნება იყოს და კვლავ ერთ საკითხზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება. მხედველობაში მაქვს ზემო სერის კულტურისა და დასვენების ყოფილი (საუბედუროდ) პარკი. როგორი ენთუზიაზმით და სიხარულით ვაშენებდით მას ხაშურელები, მთელი რაიონი, მერე როგორი ლამაზი და შთამბეჭდავი გამოვიდა. მისი მსგავსი, როგორც ვიცი, ქვეყანაში არსად იყო, მაგრამ მერე რა?! ეს ძვირფასი კომპლექსი, ისევ ჩვენი ხელით დაინგრა და განადგურდა; აღიგავა მიწისაგან პირისა. ერთი სიტყვით, ხაშურის სინამდვილეში ყველაზე საამაყო და თითით საჩვენებელი, სტუმრისთვის უაღრესად საინტერესო ობიექტის ნაკვალევიღაა ზემო სერზე. გახსოვთ ალბათ, მისი ულამაზესი შადრევნები, ღია ესტრადები, სპორტული მოედნები, საბავშვო რკინიგზა და ა.შ. ჰოდა, იყო და აღარ არის! სამწუხარო და სატირალი ის არის, რომ ეს მნიშვნელოვანი ობიექტი, ხაშურლებმა თავისი საკუთარი ხელით ააგეს და დაანგრიეს, რომელსაც აღარაფერი ეშველება. თუმცა, ოცნებას კაცი არ მოუკლავს. რაიონის დღევანდელმა და ხვალინდელმა მესვეურებმა იქნებ დროულად გაისიგრძეგანონ ამ ობიექტის მნიშვნელობა და აქედანვე შეუდგნენ ფიქრს და ოცნებას მისი მომავალი ბედის გადასაწყვეტად.

როგორც ამბობენ, საქმის დასაწყისი, საქმის ნახევარიაო და ჩვენც, რომელთაც ძალიან კარგად გვესმის, რომ მისი აღდგენა დღეისა და ხვალის საქმე ნამდვილად არ არის, იგი შორეულ ოცნებათა რიგს განეკუთვნება, მაგრამ მე ოპტიმისტი ვარ და მჯერა, რომ როცა ქვეყანას დღევანდელი, საერთო სატკივარი მოუშუშდება, ის ჩვენი სათაყვანებელი და საოცნებო პარკიც აღდგება და ისევ გაახარებს ხაშურელთა გულებს. მაშინ დაანონსებული საბაგირო გზა აშენდება და მომავალი თაობები დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მოიგონებენ რაიონის იმ ხელისუფლებას, რომლებიც თავს დაადგამენ ამ საშვილიშვილო საქმეს. გაზეთმა მომცა ასეთი ოცნების უფლება და ვფიქრობ, ჩემს შვილთა შვილებს მაინც მოუწევთ ამ პარკში სეირნობა –არის სხვა მსგავსი საკითხებიც, მაგალითად ცენტრალური სტადიონის აღდგენა-რეაბილიტაციის საკითხი, მაგრამ მასზე შემდგომი საუბრისას მოგითხრობთ.

ჩაიწერა **რ. მარგველაშვილმა**

უკრაინული მედია გიგი უგულავას შესახებ სააკაშვილისა და ადეიშვილის ფარულ ჩანაწერს ავრცელებს!

უკრაინული საინფორმაციო სააგენტოები მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის ფარულ სატელეფონო ჩანაწერს ავრცელებს, ჩანაწერში საუბარია გიგი უგულავას შესახებ მიმდინარე პროცესებზე და დავით კეზერაშვილის მიმართ სასამართლო დევნის შეწყვეტაზე. უკრაინული მედიაში გასული ინფრომაციის მიხედვით საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი გეგმავს გიგი უგულავას შეწყალებას. გთავაზობთ სრულ ჩანაწერს რომელიც უკრაინულმა მედია სააგენტოებმა slovo.net.ua- და „ვიკილიკსმა" გაავრცელა

სატელეფონო საუბარი 19.09.2015 დრო: 00:26 – 00:32-მდე

სააკაშვილი: Ты где, блядь!

ადეიშვილი: რა იყო, რა მოხდა!

სააკაშვილი: რა, რა მოხდა , მეკაიფებით თქვეჩემისებო! გიგი რომ გამოუშვით და ატეხეთ მთელი ამბავი! უკან ციხეში უკარით თავი კიდე! თქვე ყლ..ბო?!

ადეიშვილი: მიშა რა გაყვირებს წესიერად დამელაპარაკე რა. თან ეს ღია ხაზია რა!

სააკაშვილი: სუ მკიდია ღია არის თუ რაც არის!

ადეიშვილი: მიშა, ხომ გითხარი რო ყველაფერი გათვლილი გვაქვს. უგულავაზე რას იკლავ თავს, ეგ გინდა ლიდერად, ხომ იცი ეგ ამბიციების მეშოკი არავის ევასება. კეზერას საკითხი კი გადაწყდა, სასამართლოში ჩემებმა ყველაფერი გააკეთეს. კეზერაზე არ შევთანხმდით, რომ ეგ არის მთავარიო, მაგაზე პრობლემების მოხსნა საქართველოში პოლიტიკური საკითხების დაფინანსებას გვიგვარებს,ეს იყო ჩვენი პრიორიტეტი და ესეც გაკეთდა. კეზერაშვილის თემა მთლიანად დაიხურება მალე. ტყვილად ჩხუბობ რომ იცოდე. გიგის თემამ მთლიანად მიჩქმალა კეზერას საკითხი, ჩემის აზრით კარგათ გამოვიდა. უგულავას რაც შევპირდი, გაუკეთე, თბილისის სასამართლოშიც და საკონსტიტუციომ ხომ დაინახე როგორ ივაჟკაცა. გიგი ეხლა პოლიტპატიმრად გაფორმდება,ყველგან უნდა ავტეხოთ ეგ საქმე. მერე რა გინდა,რა! ის რაც მიუსაჯეს 4 წელი, ჩვენებს თბილისის სასამართლოში დარტყმის ქვეშ ვერ დავაყენებდი. ეხლა გაგრძელდება, უზენაესში ზაზა ელოდება.

სააკაშვილი: ვინა, ვინ არის ზაზა?! რაღაც რებუსებს მიხატავ! მერე მარგველა, რას აკეთებს! ახლხანს რომ შევხვდით კიევში, რო იპრანჭებოდა ეგ ჩემისა, რას ვეხმარებით ამდენს მაშინ ?!

ადეიშვილი: მეიშვილი ზაზა, რა ვერ დაიმახსოვრე. კასაციაში ისე გააკეთებენ, რომ ევროპისთვის იქნება გამზადებული. იქ კიდევ ჩვენი კავშირები ავამოქმედოთ და როგორც პოლიტპატიმარი გამოვა. კარგათ თუ ვამუშავეთ ყველა, სამი ოთხი თვე მაქსიმუმ, ასე რომ არჩევნებისთვის ეგეც გვეყოლება. შეიძლება კიდევ მალე გადაწყდეს და არ დაგვჭირდეს ამდენი დრო. მარგველაშვილი ხო შეგვპირდა შევიწყალებო, ეხლა განაჩენი არი და, მაგას კონსტიტუციით შეუძლია, ორ სამ კვირაში გამოვა მაშინ გიგი.

სააკაშვილი: ხო, კეზერა მნიშვნელოვანია, თან შევპირდით, პროექტების დაფინანსება გავწერეთ და ეს პრიორიტეტია კი! გიგიზე, კაროჩე , ესე უთხარი იქ, ყველგან გაუშვან, რო ეგ არის ბიძინას პირადი პატიმარი. ხო მე კიდე ცალკე გავაბრთხილებ. პოლიტპატიმარი რომ არის უგულავა მთელი მსოფლიო უნდა ავალაპარაკოთ. ეხლა ამერიკელებს მოვქოქავ და მიაწვებიან. მარგველა ამ ფონზე, თავის სიტყვას შესარულებს და შეიწყალებს გიგის, ესე უფრო კარგი იქნება

ადეიშვილი: მიშა იმიტომ გეუბნები, რომ დაფინანსება ჩვენ მოსამართლეებს არ უნდა ჩაუჭრათ. უკრაინის სასამრთლო სისტემა გრანტებით მოვიბით თითქმის,ესენი გასამაგრებელია,კეზერასთან ერთად ბეჟომ რაც თქვა, ისიც უკვე ნელ ნელა მოდის გაზიდან.

სააკაშვილი: კაი, პირადად გააკონტროლე, ზურა! მერე ეს ბოჩოლა საყვარელიძე რაღაცეებს ბოდიალობს და ერთად შევხვდეთ.

ადეიშვილი: კარგი რომ დავბრუნდები, მაშინ კაი! ძილინებისა!

სააკაშვილი: აბაჰე!

წყალი ჯანმრთელობისა და რელაქსაციისთვის- ხაშურის საცურაო აუზი ევროპული სტანდარტებით

ცურვა აკაჟებს ადამიანის ორგანიზმს, ხელს უწყობს თერმორეგულაციის მექანიზმთა სრულყოფას, აძლიერებს იმუნიტეტს, აუმჯობესებს გარემოსთან ადაპტაციის უნარს და ამაღლებს ზოგად ტონუსს და გამძლეობას. ცურვის დროს ყველა ჯგუფის კუნთები აქტიურდება, პრაქტიკულად არ იტვირთება სახსრები და ხერხემალი, ამიტომაც ხერხემლის პათოლოგიებით დაავადებულთათვის ცურვა განსაკუთრებით სასურველია. ციკლური ვარჯიშის ამ სახეობას განსაკუთრებით წარმატებით იყენებენ ხერხემლის დაავადებათა კომპლექსური მკურნალობისას. ცურვა რეკომენდებულია ბავშვებისათვის, ხანდაზმულთათვის, ინვალიდებისა და მსუქნებისათვის. წყალი, გარდა მასის ინდექსის კლებისა, სუსტ სახსრებს აძლევს საშუალებას გაუძლონ ისეთ დატვირთვას, რომელიც ხმელეთზე შესაძლოა საზიანო აღმოჩნდეს მათთვის. მაამორტიზებელი თვისებების წყალობით, ცურვა სასიამოვნო და სასარგებლოა არა მხოლოდ ართრიტით დაავადებულთათვის, არამედ ორსულთათვისაც-ეს არასრული სამედიცინო რეკომენდაციებია ცურვისა და ზოგადად, წყლის სასარგებლო თვისებების შესახებ, რაც ჩვენი ჯანმრთელობის უპირობო გარანტიაა. გადავხედოთ ჩვენს სამომხმარებლო ბაზარს, რომელიც ძირითადად სასურსათო მაღაზიებითა და მადისაღმძვრელი ცომეული პროდუქტებითაა წარმოდგენილი, არავინ დაობს, ადამიანის ფიზიოლოგიურ მომენტზე, მაგრამ დასაფიქრებელია, მსგავსი ტიპის საკვები, გაჯერებული ემულგატორებით, საღებავებით და სხვა უამრავი ორგანიზმისათვის არასასარგებლო და მავნე ნივთიერებებით, დაქვეითებული ფიზიკური აქტივობებით, რამდენად სასარგებლოა ჩვენი და ჩვენი შვილების ჯანმრთელობისათვის. დღეს ხაშურში უკვე არსებობს ჯანმრთელობაზე ზრუნვის მეორე და უფრო სასარგებლო ალტერნატივა, ცურვის სახით. სამწუხაროა, რომ საქართველოს დიდი ქალაქებიც კი მოკლებულია საცურაო აუზების-ხაშურზე მზერამომართული სკეპტიკოსების იმედგასაცრუებლად უნდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად არგამართლების დიდი ალბათობისა და რისკისა, უკვე მეორე წელია ხაშურში საცურაო აუზი დიდი სიხარულით მასპინძლობს ნებისმიერი ასაკის მსურველს. პირობებზე, ტარიფებზე და სხვა საინტერესო დეტალებზე, საცურაო აუზის მენეჯერი მარიამ ციცქიშვილი ისაუბრებს, რომელმაც სიამოვნებით მიმასპინძლა-ნანახმა ჩემი სასიამოვნოდ გაკვირვებაც გამოიწვია:

–ჩემს მეუღლეს დიდი ხანია ჰქონდა საცურაო აუზის გაკეთების იდეა, რომლის განხორციელება 2007 წელს დავიწყეთ საკუთარი ფინანსებით და კერძო საბანკო საშუალებით. 2008 წლის ომის შემდეგ, შეჩერდა მშენებლობის პროცესი, უკვე გასული წლის ოქტომბერში ოფიციალურად დავიწყეთ ფუნქციონირება. მანამდე ხერხემლის და სხვადასხვა სახის პრობლემების გამო, მშობლებს ბავშვები გორის საცურაო აუზზე დაჰყავდათ, ესეც იყო ერთგვარი მიზეზი ხაშურში გაგვეკეთებინა მსგავსი ტიპის დაწესებულება, რომელიც ხაშურის მოსახლეობას მისცემდა საშუალებას, ეზრუნათ საკუთარ და შვილების ჯანმრთელობაზე. ჩვენდა გასაკვირად, გახსნის დღიდანვე დიდი იყო ინტერესი მოსახლეობის მხრიდან.

–ძირითადად რა ასაკობრივ კატეგორიაზეა გათვლილი აუზი. რამდენად კვალიფიციური მასწავლებლები გყავთ?

–აუზის პარამეტრები არაა დიდი მოცულობის, 7-15 მ-ზეა სიგრძე-სიგანე, 1,65სმ-ია წყლის სიღრმე, რაც ბავშვებისთვის უფრო ხელმისაწვდომია. გორის აუზის დახურვის შემდეგ, წამოვიყვანეთ მასწავლებლები, რადგან ხაშურში ვერ ვნახეთ კვალიფიციური კადრები, რომლებიც არა მარტო მოყვარულ დონეზე, არამედ პროფესიულ დონეზე შეასწავლიდნენ ცურვას. დღეს ჩვენთან ცურვის 4 სახეობა ისწავლება, მაღალკვალიფიციური მასწავლებლების მიერ. სულ ორი პედაგოგი გვყავს ქალბა

(გაგრძელება VI გვერდზე)

ადგილი, რომელსაც ტრაგედიები მოაქვს

„ეშმაკის უღელტეხილი“,„სიკვდილის გზა“,„ჯოჯოხეთის კარიბჭე“,„შავი ცელი“... ეს მსოფლიოში ცნობილი ადგილების სახელებია,სადაც ტრაგედიები ისეთი სიხშირით ხდება,რომ მათ სტატისტიკას არც აღარავინ აწარმოებს.

ეს კონკრეტული ადგილები პლანეტის სხვადასხვა წერტილშია გაბნეული და გზების ამ მონაკვეთებს ყველა იცნობს. ყოველშემთხვევაში, ნებისმიერ მგზავრს, მით უფრო მოგზაურს ამ სახიფათო მონაკვეთების შესახებ წინასწარ აქვთ ინფორმაცია და მათი ადვილად დაძლევისათვის ათასგვარი რუკები და რეკომენდაციები არსებობს. ექსტრემალებისთვის კი ასეთი ადგილები პირდაპირ „სამოთხეა“, თუმცა, არც ის შემთხვევებია იშვიათი, როდესაც იმ უფსკრულებში მათი გვამებიც უნახავთ.

რაღაც საშიენლი შესავალი გამომივიდა. მოდით,დავანებოთ თავი იმ ფატალურ ადგილებს,ისინი იმ ქვეყნების თავისტკივილია,სადაც ისინი არსებობენ და მათ იზრუნონ იქაური უსაფრთხოებისთვის,ჩვენ კი საქართველოში გადმოვინაცვლოთ. გაინტერესებთ,არის თუ არა ჩვენთან ასეთი ადგილი? პირდაპირ გეტყვით:– არის! და თანაც ჩვენს მუნიციპალიტეტში, თანაც საქართველოს ცენტრალური გზატკეცილის შუაგულ მონაკვეთში. ბევრი გაიოცებს, მაგრამ ახლავე დაგისახელებთ ამ ადგილს და დარწმუნებული ვარ, ჩვენი მკითხველის ნახევარზე მეტი, თუ უმრავლესობა არა, ამ ადგილზე ავარიას წაწყდომია. არც იმას გამოვრიცხავ,ბევრი მათგანი თვითონ მოხვედრილა აქ ავარიულ სიტუაციაში. საუბარია ცენტრალური გზატკეცილიდან სურამისაკენ გადასახვევ ადგილზე. რა თქმა უნდა, ზემოთ მოყვანილ ადგილებთა შედარებით,მასშტაბი სულ სხვაა,მაგრამ ავარიების სიმრავლით ეს ადგილი შეიძლება აჭარბებდეს კიდეც ზოგიერთ მათგანს.



სიმართლე გითხრათ,საქართველოში არცკი მეგულება სხვა ადგილი,სადაც ხიდიდან იყო გადასახვევი და თანაც მოძრაობის საწინააღმდეგო მხარეს. ეს ისეთი საინჟინრო კაზუსია, რომელიც გზის ინჟინერიის შემსწავლელი პირველკურსელისთვისაც კი ღიმილისმომგვრელია. როდესაც ამ სამოცი წლის წინ გზის ამ მონაკვეთს აშენებდნენ, დარწმუნებული ვარ, სრულიად სხვა პროექტი იქნებოდა გათვალისწინებული,რადგან იქ, სადაც ასეთი პროექტები მტკიცდებოდა, არცერთ ჭკუათმყოფელს აზრად არ მოუვიდოდა, ასეთი პროექტისთვის მიეცა ვიზა. არსებობს სხვა ვარიანტიც: იქ ან იდიოტები ისხდნენ ან ისეთი გულგრილები,რომლებსაც ადამიანის სიცოცხლე და უსაფრთხოება ჩირადაც არ უღირდათ, რაც, რა თქმა უნდა, შეგნებული ბოროტმოქმედებაა.

კარგით,თავი დავანებოთ კომუნისტების მიერ დაშვებული ასეთი ლაფსუსის დაშვების შესაძლო ვარიანტების ძიებას. გადმოვინაცვლოთ დღევანდელ ეპოქაში და ფაქტებს მოვუხმოთ. რა თქმა უნდა,სტატისტიკას არავინ აწარმოებს, თუ რამდენი ავარიაა ამ წერტილში მომხდარი და რამდენი მათგანი დამთავრდა ფატალურად,მაგრამ,დამერწმუნეთ,ავარიების ასეთი სიხშირე საქართველოს გზების არცერთ მონაკვეთზე არ იქნება დაფიქსირებული. ამ წერილის ავტორს ყოველდღიურად უწევს გზის ამ მონაკვეთის გავლა და თუ ყოველკვირეულად არა, თვეში ორი შემთხვევა, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. არ ვიცი, რას ფიქრობენ გზების დეპარტამენტში, მაგრამ, როდესაც გზის ერთიდაიგივე წერტილში, უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში, ასეულობით ავარია მომხდარა, არ არის საგანგაშო? არ უნდა იზრუნოს ვინმემ ამ მონაკვეთის უსაფრთხოებაზე?

ვისაც გზის ამ მონაკვეთზე წარმოდგენა არა აქვს, შევეცდებით,დეტალურად აღვუწეროთ სიტუაცია. ხაშურიდან სურამისაკენ მიმავალი ავტომობილი ე.წ. „ზაგოზერნოს“ ხიდზე უნდა ავიდეს. სურამისაკენ გადასახვევი ზუსტად შუა ხიდზეა. თან ხიდის გაბარიტები იმდენად მცირეა, რომ თუ საწინააღმდეგო მხარეს ავტომობილების სიმრავლეა და მძღოლი მის გატარებას უცდის, უკვე მის უკან მიმავალ მანქანას ექმნება საფრთხე, რადგან ასაქცევად უმცირესი მონაკვეთი რჩება. ხოლო თუ უკან მიმავალი ავტომობილი დიდი გაბარიტებისაა („ტრაილერი“ და მისთანები) ჩათვალეთ,რომ უკვე ავარიული სიტუაციაა შექმნილი. ახლა ეს სურათი ზამთარში წარმოიდგინეთ,ის უკან მომავალი მანქანა,ფაქტობრივად,აღმართზეა იძულებით გაჩერებული და თუ გზა მოყინულია,ყოველ წუთს შეიძლება მოცურდეს. ეს ყველაფერი კი ხიდზე ხდება,სადაც გადაადგილების სხვა ვარიანტი უბრალოდ გამორიცხულია.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ აქ, გზის ამ მონაკვეთის შეცვლა, ჩვენი მუნიციპალიტეტის საქმეა და ეს ადგილობრივმნა ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს, მაგრამ ალბათ სწორედ მათ უნდა დააყენონ საკითხი გზების დეპარტამენტის წინაშე, რომ ერთხელ და სამუდამოდ ეს პრობლემა მოგვარდეს. გვჯერა, ასეც იქნება.

შეიძლება ვინმე ოპონენტი შემოგვედავოს, გზის ეს მონაკვეთი სამ წელიწადში ცენტრალური გზატკეცილის სტატუსს ისედაც დაკარგავს

და ახალი ბინის მშენებლობა გზაზე ავტომობილების რიცხვს მინიმუმამდე შეამცირებსო, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს პრობლემის აღმოფხვრას. რა თქმა უნდა, მოძრაობა ამ ადგილას შემცირდება, შემცირდება ავარიების რაოდენობაც, მაგრამ თუ თვეში 3-4-ის ნაცვლად, მხოლოდ ერთი მოხდება, ეს გვაძლევს დამშვიდების უფლებას?!

P.S. გაზეთი დასაბეჭდად იყო მზად,როცა გზის ამ მონაკვეთზე კიდევ ერთი ავარია მოხდა. სხვათაშორის,ეს ამ კვირაში მეორეა. მართალია ორივე,ასე ვთქვათ,მსუბუქი „უანრის“ იყო,მხოლოდ მცირე შეჯახებებით დამთავრდა და,საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა,მაგრამ როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდეს?

გოგი გოგოლაძე

იუსტიციის სამინისტროსთან არსებული უწყებათშორისი კომისიის თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის 2015 წლის რეკომენდაციების დანართი

განმარტებები

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებისათვის:

„საქართველოს კონსტიტუციის“ მიხედვით,რომელიც ქვეყნის უზენაესი კანონია, საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება.

ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს, წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ. თუმცა, აკრძალულია გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებით სარგებლობისას სხვა ადამიანების უფლებების ხელყოფა, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე სუბიექტის ამომრჩეველთან შეხვედრის ხელშეშლა,ჩაშლა,განსხვავებული აზრის მქონე პირებთან დაპირისპირება, მათი შეურაცხყოფა, ძალადობა ან ამგვარის მცდელობა.

ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეებს, მათ შორის, გამგებელს, საკრებულოს წევრებსა და თავმჯდომარეს, წინასაარჩევნო კამპანიის პროცესში ეკრძალებათ ადმინისტრაციული ორგანოს ბალანსზე არსებული ნებისმიერი ქონების გამოყენება.

ასევე, მათ ეკრძალებათ სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმა წინასაარჩევნო პროცესებში.

არჩევნების ჩატარებამდე 60 დღით ადრე არჩევნების დღის ჩათვლით აკრძალულია ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, ასევე, აკრძალულია სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ოდენობის გაზრდა.

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად ჩაითვლება, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით ისეთი სოციალური რეკლამის, სააგიტაციო მასალის, ვიდეო –ან აუდიომასალის დამზადება, ვებგვერდის ან მისი ნაწილის შექმნა, რომელშიც/რომელზეც ასახულია ესა თუ ის საარჩევნო რიგითი ნომერი, ან/და რომელიც შეიცავს ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის/პოლიტიკური პარტიის მხარდასაჭერ/საწინააღმდეგო ინფორმაციას.

დაუშვებელია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებით ორგანიზებულ ღონისძიებაზე/პრეზენტაციაზე ორგანიზატორების მიერ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა. აღნიშნული აკრძალვა ვრცელდება ყველა საჯარო მოხელეზე, განურჩევლად თანამდებობისა. მსგავსი ქმედება ჩაითვლება ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებად.

ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეებს სამუშაო საათების განმავლობაში ან სამსახურებრივი ფუნქციების შესრულების დროს ეკრძალებათ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება ადგილობრივი ხელისუფლების იმ წარმომადგენლებზე,რომლებიც „საარჩევნო კოდექსის“ მიხედვით ითვლებიან პოლიტიკური თანამდებობის პირებად. ესენი არიან: წარმომადგენლობითი ორგანოს, საკრებულოს წევრები; საკრებულოს თავმჯდომარე და აღმასრულებელი ორგანოს ხელმძრვანელი (მერი/გამგებელი).

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელები – საკრებულოს თავმჯდომარე,გამგებელი/მერი,ასევე, მათი მოადგილეები არ შეიძლება დაინიშნონ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად.

საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის ვადის გასვლიდან კენჭისყრის დღის დამთავრებამდე აკრძალულია ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა საკადრო გადაადგილება,გარდა მათი უფლებამოსილების ვადის გასვლის ან/და მათ მიერ კანონის დარღვევის შემთხვევებისა.

სახელმწიფო პროგრამაში „დანერგე მომავალი“ ცვლილებები შევიდა

როგორც მკითხველებისათვის ცნობილია, ქვეყნის მასშტაბით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის № 56 დადგენილებით, დამტკიცდა მრავალწლიანი კულტურების გაშენების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“.

აღნიშნული პროგრამის მიმართ მუნიციპალიტეტებიდან და მათ შორის ჩვენგანაც, მომზადდა წინანდადებები ზოგიერთი ცვლილებების თაობაზე, რაც გათვალისწინებული იქნა და პროგრამაში ფერმერების ფართო მასების ჩართვის სტიმულირების მიზნით მთავრობამ მიმდინარე წლის 26 აგვისტოს №444 დადგენილებით შეიტანა ცვლილებები და იგი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად.

მრავალწლიანი ბაღების კომპონენტში, საქართველოს ყველა რეგიონში 5 ჰექტრის ნაცვლად მიწის მინიმალური ფართობი 1 ჰექტრით განისაზღვრა. ახალი პროგრამით ბენეფიციარს (ფერმერს) შესაძლებლობა ექნება პროგრამით რამდენჯერმე ისარგებლოს, თუმცა დაფინანსება ჯამში 100 000 ლარს, ხოლო გაშენებული ბაღის ფართობი 20 ჰექტარს არ უნდა აღემატებოდეს.

დადგენილებით, ინტენსიური ბაღების გაშენებისათვის ახალი კულტურები დაემატა, კერძოდ ჩვენი რეგიონისათვის არსებულ კურკოვან ხილს - ატმის, ქლიავის, ტყემლის, ბლის კულტურებს დაემატა გარგარი, შინდი და ალუბალი, კაკლოვანებს - კაკლის კულტურას დაემატა ნუში. თესლოვან ხილს - ვაშლის კულტურას მსხლის კულტურა, ამრიგად ჩვენი მუნიციპალიტეტის ნიადაგობრივ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, თითქმის ყველა ხილის კულტურაა გათვალსწინებული.

იმპორტის გზით ნერგების შეძენის შემთხვევაში 20%-ით გაიზარდა ერთ ნერგზე დაფინანსების თანხობრივი ლიმიტი.

ახალი განკარგულებით ასევე შესაძლებელია ერთი ბენეფიციარის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების მონაწილეობა.

უცვლელი დარჩა სახელმწიფო დაფინანსების პრინციპი ბაღის გაშენების შემთხვევაში - ნერგების ღირებულების 70%-ს და წვეთოვანი სარწყავი სისტემის ღირებულების 50%-ს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო დააფინანსებს.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად პროგრამით „დანერგე მომავალი“ სარგებლობას უფრო მეტი ფერმერი შეძლებს.

პროექტის „დანერგე მომავალი“ განხორციელებისათვის ორი წლის განმავლობაში 15 მილიონი ლარი დაიხარჯება. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია (1000-1200 ჰა-ზე) თანამედროვე ტიპის მრავალწლიანი ხილის და კენკრის ბაღების ინტენსიური და ნახევრად ინტენსიური ბაღების და 30-40 ახალი სანერგე მეურნეობის გაშენება , რაც ხელს

შეუწყობს ადგილობრივ ბაზარზე იმპორტის ჩანაცვლებას, საექსპორტო პოტენციალის გაზრდას, სოფლად მცხოვრები ფერმერების მეურნეობების განვითარებას, დასაქმებას და სიღარიბისაგან თავის დაღწევას.

პროექტში მონაწილეობისათვის ათობით ფერმერი ჩვენი კონსულტაციებით და რჩევებით უკვე ამზადებს მიწის ფართობს და დოკუმენტაციას, რაც უახლოეს დღეებში წარდგენილი იქნება მათ მიერ სააგენტოში განსახილველად.

ვიმედოვნებთ, მთავრობის ხელშეწყობით, ხაშურის მუნიციპალიტეტში მეხილეობის განვითარებას (აღდგენას) ვიხილავთ და საისტორიოც გახდება.

ჯემალ გელაშვილი,
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი

რაც უფრო ვშორდებით უფალს, მით უფრო ვუახლოვდებით სატანას!

აშშ-ში 11 სექტემბერს დატრიალებული ტრაგედიისადმი მიძღვნილ ტოქშოუში წამყვანის კითხვაზე– როგოპრ დაუშვა უფალმა ეს ტრაგედია? ცნობილი ამერიკელი რელიგიური მოღვაწის ბილი გრემის ქალიშვილმა ანა გრემმა ძალიან ღრმა და გამჭრიახი პასუხი გასცა.

–მე მჯერა, რომ ღმერთი ისევ წუხს მომხდარზე, როგორც ჩვენ, მაგრამ ჩვენ დროთა განმკავლობაში ვდევნიდით უფალს სკოლებიდან, მთავრობებიდან, ჩვენი ცხოვრებიდან და მე ვფიქრობ, რომ ღმერთმა, როგორც ჯენტლმენმა, მხოლოდ უკან დაიხია. უნდა ველოდოთ ღვთის წყალობას და ამავე დროს მოვითხოვთ მისგან, რომ დაგვტოვოს?

მოდით, გავიხსენოთ, ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა მედლინ მიურეი ოჰარამ (ის მოკლეს და გვამი რამდენიმე ხნის წინ იპოვეს) თქვა,–სკოლაში ლოცვის ადგილი არ არის და ჩვენ ვთქვით,–კარგი!.. მერე ვიღაცამ თქვა, რომ სკოლაში არ უნდა იკითხებოდეს ბიბლია (ბიბლია, სადაც ნათქვამია: არ მოკლა, არ მოიპარო, შეიყვარე მოყვასი შენი) და ჩვენ ისევ დავეთანხმეთ, –კარგი!..

მერე დოქტორმა ბენჟამენ სკოპმა განაცხადა, რომ არ უნდა გამოვიყენოთ ბავშვებში ფიზიკური დასჯის მეთოდები, რადგან ეს მათში პიროვნებას კლავს და ჩვენ შეიძლება ხელი შევუშალოთ თვითშეფასების პროცესს (თავად ბენჟამენის ვაშიშვილმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა). მაშინ ჩვენ ვიფიქრეთ – „ის სპეციალისტია და იცის, რასაც ამბობს“ და ისევ ვთქვით,– კარგი!..

შემდეგ ვიღაცამ თქვა: „მოდით, მივცეთ გოგონებს აბორტის გაკეთების უფლება, თუ მათ ეს უნდათ“ და ჩვენ ისევ გავიმეორეთ,–კარგი!..

მერე სკოლაში ვიღაცას ახალი აზრი გაუჩნდა და თქვა: „ბიჭები ყოველთვის და ყველგან იქნებიან ბიჭები ვდა მუდამ გააკეთებენ ამას, ამიტომ

მივცეთ პრეზერვატივები სკოლაში და მიიღონ სიამოვნება, მშობლები კი ვერც გაიგებენ, რომ ისინი სკოლაში მიიღეს“. ჩვენ ისევ ვთქვით,–კარგი!..

მერე ვიღაცამ ჩვენ მიერ არჩეულ მთავრობაში თქვა,–თუ სამუშაო კარგად სრულდება, მნივშნელობა არ აქვს, რა ხდება პირად ცხოვრებაში, დავეთანხმეთ და ვთქვით,–არ გვაინტერესებს, ვინ (მათ შორის პრეზიდენტიც) როგორი პირადი ცხოვრებით ცხოვრობს, თუ სამუშაო გვაქვს და ეკონომიკაც წესრიგშია.

მერე ვიღაცამ თქვა,–მოდით, დავბეჭდოთ ჟურნალები შიშველი ქალების სურათებით და ამით ვაჩვენოთ ქალის სხეულის სიჯანსაღე და სილამაზე. მერე უფრო „წინ გადავდგით“ ნაბიჯი და ბავშვების გაშიშვლებული სხეულები გამოვიტანეთ სააშკარაოზე და ინტერნეტშიც დავდეთ და ჩვენ ისევ ვთქვით,–კარგი, მათ სიტყვის თავისუფლება აქვთ!..

მერე გასართობმა ინდუსტრიამ თქვა,,,მოდით, ჩავწეროთ სატელევიზიო შოუები და ფილმები, რომელიც ხელს შეუწყობს ძალადობის, ბილწსიტყვაობისა და აკრძალული სექსის პროპაგანდას, ჩავწეროთ მუსიკა, რომელიც ხელს უწყობს ნარკოტიკების მოხმარებას, გაუპატიურებას, მკვლელობას, თვითმკვლელობასა და სატანიზმს“, ჩვენ ვთქვით,–ეს მხოლოდ გართობაა და ნეგატიურ გავლენას ვერ მოახდენს, ამიტომ გავაგრძელეთ და დავსძინეთ,–კარგი!..

და ახლა ჩვენ ვეკითხებით ჩვენს თავს:

–რატომ არ აქვთ ჩვენს შვილებს სინდისი, რატომ არ შეუძლიათ კარგისა და ცუდის გარჩევა, რატომ კლავენ ერთმანეთს და იკლავენ თავს? თუ დავფიქრდებით, ვნახავთ, რომ რაც დავთესეთ, იგივე მოვიმკეთ!

ერთმა ახალგაზრდა მამაკაცმა დაწერა:

„ღმერთო! რატომ არ გადაარჩინე საკუთარ კლასში მოკლული პატარა გოგონა! ჭეშმარიტად შენი შეწუხებული სტუდენტი“.

აი, პასუხი:

„ძვირფასო სტუდენტო, მე არ მიშვებენ სკოლებში. ჭეშმარიტად შენი ღმერთი!“

სასაცილოა, რომ ადამიანები ვდევნით უფალს და მერე გვიკვირს, ცხოვრება ჯოჯოხეთად რატომ იქცა;

სასაცილოა, ყველას გვინდა ზეცაში მოხვედრა და არაფერს ვაკეთებთ, არაფრის გვჯერა, რაც ბიბლიაშია;

სასაცილოა, როცა ვიღაც ამბობს, რომ სჯერა ღმერთის, მაგრამ მიჰყვება სატანას, რომელსაც „სჯერა“ უფლის;

სასაცილოა, რომ ჩვენთვის ადვილია, განვსაჯოთ სხვა და ძნელია, თავად მოისმინო განსასჯელი სიტყვები;

სასაცილოა, როცა უაზრო ხუმრობები ელვასავით ედება სამყაროს და ადამიანები კი დიდხანს ფიქრობენ იმაზე, გააზიარონ თუ არა სტატუსი, სადაც ღმერთია ნახსენები;

სასაცილოა, როდესაც უხამსი, არაწესიერი, უზნეო და ვულგარული ადვილად ხელმისაწვდომია ინტერნეტში და სკოლებსა და სამსახურებში ღია დიუსკუსია უფალზე შეუძლებელია!..

ანა გრემის სიტყვების მოსმენისას, არ შეიძლება არ გაგახსენდეს ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილის ბრძოლა განათლების სამინისტროს წინააღმდეგ სკოლები ახალი საგნის „მე და საზოგადოების“ დანერგვის თაობაზე. ეს ადამიანები ამბობენ, რომ საგანი ბავშვს აშორებს ღირებულებებსა და ტრადიციებს, უღვივებს ინტერესს „აკრძალული“ ინფორმაციის მიმართ, ნაადრევად ახდენს ბავშვის ყურადღების დაფიქსირებას არასასურველი მიმართულებით, „როლური თამაშების“ შემოტანა მე-3 და მე-4 კლასების მოსწავლეებში ზიანს აყენებს ბავშვის ემოციურ და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას და ახდენს მის ტრამვირებას უკვე ადრეულ ასაკში. კარგად თუ დავუკვირდებით ეს ახალი სასწავლო საგანი ანა გრემის მიერ ჩამოთვლილი საკითხების ლამაზად შეფუთული წიგნია, რომელიც ახალი აზროვნების ადამიანის ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად, რომელიც საკმაოდ დაშორდება უფალს!

გადავაქციოთ ხაშური სანიმუშო წესრიგისა და სისუფთავის ქალაქად

დ. ყიფიანის სახელობის ქალაქის ცენტრალური მოედნის მიმდებარე სკვერი ხაშურელთა თავშეყრის საყვარელი ადგილია, განსაკუთრებით შესვენების საათებში. ამ დღეებშიც ხალხმრავლობაა სკვერში, ვინ ძელსკამზე ისვენებს, ვის ხის ქვეშ ჩრდილისთვის შეუფარებია თავი, ვინ ე.წ. მომდერალი შადრევნის შხაპის „აბაზანებს“ იღებს. განსაკუთრებით მრავლობენ პენსიონერები, ომისა და შრომის ვეტერანები. მათ აქ თავიანთი ავტონომია აქვთ. აქ ისინი საქვეყნო და ქალაქის საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობენ, დაობენ, ერთმანეთში ახალ ინფორმაციებს ცვლიან.

იქვე, ტროტუარის გასწვრივ, რამდენიმე ძელსკამია ჩადგმული. ერთ-ერთი გაზეთების ჯიხურის სიახლოვესაა. ამ ძელსკამებს, უმეტესად, შემთხვევითი გამვლელები და ახალგაზრდები იკავებენ. აი, ასეთ ძელსკამზე სამი „ვერზილა“ ზის კოჭებამდე მზესუმზირის ნაფცქვენში ჩაფლული. დალოცვილები ისე ოსტატურად მარჯვედ ფცქვნიან მზესუმზირის მარცვლებს, რომ უნებლიედ ცნობილი ეპოსის ცნობილ გმირზე ნათქვამი გამახსენდა: „ისე ხრავდა რკინასაო, როგორც ხარი თივასაო“. ჰოდა, რა გასაკვირია, მათ წინ, საშინელი ანტისანიტარია რომ მძვინვარებდა. მზესუმზირის ნარჩენებთან ერთად ეყარა მათი შესაფუთი მასალა სამი თუ ოთხი, ისინიც ნაკუწ-ნაკუწ დაფლეთილები. ასე, რომ ეს სამი ახალგაზრდა, ტანად მოსულები, ალბათ ნამდვილად ხაშურელები იყვნენ და აინუშში არავის აგდებდნენ, ვერც კი გრძნობდნენ რას სჩადიოდნენ. მათ წინ ნაბიჯი შევანელე, მწუხარედ გადავხედე მზესუმზირის დამუშავებაში გართულ ახალგაზრდებს და გზა ჩვეულებრივ გავაგრძელე, კინოთეატრის ვიტრინებს რომ გავცდი, უცებ ჩემს თავზე გავბრაზდი, ასე შემჩნევისა და შეჩვენების გარეშე, რომ ჩავუარე ამ ახალგაზრდებს და სათქმელი პირში არ ვუთხარი. მაშინვე მივბრუნდი. ორი ახალგაზრდა იქ აღარ იყო, მესამე კი ნახევრად ცარიელ ცელოფანის პარკს მიაკინწიალებდა და გზადაგზა მზესუმზირის ნარჩენებს აქეთ-იქით აფრქვევდა.

–მეგობარო, ერთი წუთით, – მივმართე ახალგაზრდას და პირდაპირ მივახალე, რომ უკადრის საქციელს ჩადიოდნენ, სკვერს, ქუჩას ანაგვიანებდნენ და ამისთვის ისინი შეიძლება დააჯარიმონ კიდეც. ისე გაიკვირვა ჩემი შენიშვნა, მივხვდი, რომ მისთვის ზედმეტი იყო შეგონება-დარიგება, მაინც ვერაფერს გაიგებდა. ჩემი შენიშვნის შემდეგ რაღაც ჩაიბურტყუნა და გზა განაგრძო. რაღა უნდა მეთქვა? მივხვდი, ვისთანაც მქონდა საქმე. გაღიზიანებულმა გავიფიქრე, რომ ასე ტაძრამდე მართლა ვერ მივალთ, ქალაქის წესრიგზე და სისუფთავეზე, რომ არაფერი ვთქვათ.

ხალხო კეთილო, ჩემო ხაშურელებო! ალბათ მოვიდა დრო, ერთად ვიზრუნოთ და ვიფიქროთ, რომ ქალაქში იყო სრული წესრიგი, სანიმუშო სისუფთავე!

პარკში ისევ ხალხმრავლობაა. პარკში სისუფთავე და წესრიგია, ასე, რომ ყველამ ერთად უნდა ვუთხრათ სათქმელი ასეთ გაუგებარ ახალგაზრდებს, რომელთათვისაც ხაშური მარტო დაბადების ადგილი კი არა, მშობლების საფიცარი ადგილის დედაა!

რ. მარგველაშვილი

წყალი ჯანმრთელობისა და რელაქსაციისთვის- ხაშურის საცურაო აუზი ევროპული სტანდარტებით

<u>(დასასრული)</u>

ტონი ეკა ფხიკიძე და მისი შვილი საქართველოს ჩემპიონი ცურვაში გივი დუდაშვილი. თვითონ ცურვას აქვს ის ეფექტი, რაც სასარგებლოა ბევრი დაავადებისათვის. გარდა ბავშვების კატეგორიისა, გვაქვს სამოყვარულო ჯგუფებიც, ნებისმიერი მსურველისათვის.

–რა ინტენსივობით ხდება აუზში ნლის გამოყვლა? როგორ ხდება ნყლის ქიმიური დამუშავება და რამდენად დაყენლია კლიენტი სხვადასხვა ტიპის ინფექციური დაავადებებისაგან?

–თბილისიდან მოგვაქვს მაღალი ხარისხის ქლორი, რომლითაც ხდება წყლის დამუშავება, რაც მინიმუმამდე ამცირებს ინფექციური დაავადებების რისკს. გვაქვს ზედაპირული ფილტრები, ხდება წყლის 24 საათიანი ფილტრაცია. ყოველ შაბათ-კვირას ნაწილი, თვეში ერთხელ კი ხდება წყლის მთლიანი გამოცვლა, ხოლო 6 თვეში ერთხელ მთლიანად იწმინდება აუზი. გარდა ამისა, გვყავს ექთანი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, პირველად დახმარებას გაუწევს კლიენტებს. ჩვენი შინაგანაწესის მიხედვით, კლიენტი შესვლის და გამოსვლის შემდეგაც სარგებლობს საშხაპით, გვაქვს თხევადი საპნები, იქლორება იატაკები, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ინფექციით ავადობის რისკებს.

–დაახლოებით რამდენი ბავშვი გყავთ ამჟამად და ზოგადად, როდისაა ყველაზე დიდი მოთხოვნილება?

–მე ვთვლი, რომ ხაშურში აუზის გახსნამ გაამართლა, მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო პროცესის დაწყების გამო, დიდი ნაკადი არ გვყავს ამჟამად. შეიცვალა მდგომარეობა-ადრე, თუ გორში დაგვყავდა ბავშვები, ახლა ჩვენთან დადიან გორიდან და ქარელიდან. ყველაზე დიდი აქტიურობა იყო ივლისის თვეში, დაახლოებით, 180 ბავშვი გვყავდა. ასევე, ზაფხულში ძალიან ბევრი მომხმარებელი გვყავდა დამსვენებლების სახით, რომლებიც კმაყოფილებას ვერ მალავდნენ ფასისა და შესაბამისი მომსახურებისა და პირობების გამო. მომავალი წლისთვის, ვგეგმავთ, კომპლექსური პაკეტის შეთავაზებას კლიენტებისათვის და მეორე სართულზე სატრენაჟორო დარბაზის გახსნას.

–რაიმე ტიპის ღონისძიებებში თუ მიგიღიათ მონაწილეობა?

–ჩვენთან ვმართავთ ხოლმე შიდა შეჯიბრებებს, საკმაოდ კარგი მონაცემების ბავშვები გვყავს. ლისის ტბაზე გამართულ შეჯიბრებაზეც მიიღეს მონაწილეობა. ასევე, ოქტომბრის დასაწყისში ბათუმში მივემგზავრებით.

–რამდენად მისაღები ფასებია და რაიმე ტიპის ფასდაკლებებს თუ სთავაზობთ მომხმარებლებს?

–პირობებიდან გამომდინარე, ფასები საკმაოდ ხელმისაწვდომი და მისაღებია. ვითვალისწინებთ მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობასაც. შესაბამისად, 40 ლარი 6 გაკვეთილი, 80 ლარი 12 გაკვეთილი, დიდებისათვის 10 გაკვეთილის ფასი 50 ლარია. ამ ფასში შედის საშხაპის ორჯერადი მომსახურება. გაკვეთილის ხანგრძლივობა ერთ



საათს მოიცავს. ზოგჯერ ოჯახიდან რამდენიმე ბავშვი დადის, ხშირად მშობლებიც ჩადიან აუზში, ასეთ შემთხვევაში, საკმაოდ კარგი ფასდაკლებები გვაქვს. მოკლე აბონიმენტის შემთხვევაში 5, ხოლო დიდი აბონიმენტის შემთხვევაში ფასდაკლება 10 ლარია ერთ ადამიანზე. ასევე, სპორტულ ჯგუფსაც მინდა შეღავათები გავუკეთო მეტი სტიმულისათვის. მინდა მოვუწოდო ხაშურის მოსახლეობას, ყველა მსურველს, მობრძანდნენ ჩვენთან. ხელი შეუწყონ საკუთარ და შვილების ჯანმრთელობას. ჩვენც ყველა პირობას შევუქმნით, რათა თავი კომფორტულად და სასიამოვნოდ იგრძნონ!

თ. ჯავახიშვილი

ლომიძეებო, გიწვევთ საგვარეულო შეხვედრაზე!

24 ოქტომბერს, 13 საათზე დანიშნულია ლომიძეების საგვარეულო შეხვედრა, რომელიც გაიმართება ქალაქ ხაშურის კულტურისა და დასვენების პარკში.

დაწვრილებითი ცნობების მისაღებად დაგვიკავშირდით:
ტელ: 599-22-79-29
511-60-31-35

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი სტუმრად ხაშურში

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ორგანიზებით, ზეგ, 30 სექტემბერს, ხაშურს ეწვევა ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი, რომელიც წარმოადგენს ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილ სპექტაკლს.

სპექტაკლი გაიმართება საქალაქო კულტურის სახლის სცენაზე (ყოფილი რკინიგზის კულტურის სასახლე)

დასაწყისი 18 საათზე.

გიწვევთ დღესასწაულზე- „ხაშური-ოქროს შემოდგომა-2015“

10 ოქტომბერს, ხაშურში, გაიმართება სახალხო დღესასწაული „ხაშური-ოქროს შემოდგომა-2015“. დღესასწაულის ეპიცენტრი კულტურისა და დასვენების პარკი იქნება, სადაც მაყურებლის წინაშე წარდგებიან როგორც ადგილობრივი, ასევე მოწვეული შემოქმედებითი კოლექტივები.

ხაშური ამ დღეს ლიტვის, ლატვიის, პოლონეთის, უკრაინის, ბელორუსიის დელეგაციებსაც უმასპინძლებს.

მიიღეთ ეს ზეიმი საჩუქრად, გახდით დღესასწაულის მონაწილე!

შპს ხაშური-სტამბა“ და გაზეთ „ხაშურის მოამბის“ თანამშრომლები და უახლოესი მეგობრები თანაუგრძნობენ ნანა შუბითიძეს მამის გარდაცვალების გამო.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.